№ 197 30 ენკენისთვე, შაბათს 1866—1873 30 ენკენისთვე, შაბათს № 197

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: თვალ. წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ანო-მთავრულით ტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ენკენისთვიდამ ამ მდგომარე წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდინ—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

Ძალაქს გარეშე პირთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

საქართველო

სოფლის მასწავლებელთ კრების ზოგიერთ გარდაწყვეტილებაზედ

(წერილი რედაქტორთან)

მეტად უთავბოლოთ, უსაფუძვლოთ და ძოუაზრებელად წავიდა საქმე ჩვენი სოფლის შკოლების მასწავლებელთ პირველი კრებისა.

მისაც კი ესმის, თუ რა ძვირფასი საუნჯეა ხალხის განათლება, ყველა სიხარულით მიეგება ამ ახალს მოვლენასა და იმედეულობდა, რომ კრება კეთილს და ჭეშმარიტს გზაზედ დააყენებდა ახლად დაბადებულ სოფლის შკოლასა. მაგრამ საქმეს ხელი ეცრება და იგი სასწუხაროთ უკუღმა ბრუნდება.

Ამდენს მისვლა-მოსვლაში, ლაპარაკში, სხდომებში, ხმების მოკრებაში, სამაგალითო გაკვეთილების ძიებაში კაცი ხედავს მხოლოდ ერთად-ერთს ნათელს წერტილსა: ეს ნათელი წერტილი გახლავთ უფ. დირექტორის სტრელეცკის კატეღორიულათ, გადაჭრით წამოთქმული სიტყვები, რომ აქამდისინაც სასოფლო შკოლებში სწავლა ქართულ ენაზედ მიდიოდა და შემდგომშიაც ასრე უნდა წავიდესო. სხვა ძრიელ კი კაცი სანუგეშოს ვერასა ჰპოვებს.

Ავიღოთ თუნდა გადაწყვეტილება კრებისა შესახებ შკოლის კურსის სიგრძისა, რომელიც შეადგენს უმთავრეს მხარეს საგნისასა.

კრებას სამი წელიწადი გაუმწესებია შკოლის კურსის შესრულებისათვის *). რა უნდა შეისწავლოს ბავშმა და ისიც სოფლელმა ამ მოკლე ხნის განმავალობაში! Ევროპაში სამ წელიწადს მხოლოდ მაშინა სდებენ, როცა შკოლის დანიშნულებას საზღვრენ წერა-კითხვის სწავლითა. თუკი შკოლის პროგრამმა ცოტაოდნათ სრულია და შეიცავს ელემენტარულ საგნებსაცა, მაშინ შკოლაში სწავლა გრძელდება ოთხსა, ხუთსა და ექვს წელიწადსა. თუ ეს ასეა Ევროპაში, სადაც სწავლას გაშორებით უფრო ნაკლები დამაბრკოლებელი მიზეზები უტყვრებიან, ჩვენში ხომ უფრო საჭირო უნდა იყოს ხანგრძლივი ყოფნა ბავშვებისა შკოლის გავლენის ქვეშა!?

შორსაც რომ არ წავიდეთ, ჩვენ ცხვირ წინაცა გვაქვს ერთი შესანიშნავი და თვალის ამხელი მაგალითი. Ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას აქვს Კავკასიაში ბლომი რიცხვი თავის შკოლებისა, სადაც სწავლა გრძელდება ოთხსა და ხუთს წელიწადსა; ამასთან ამ შკოლებს ჰყავთ სპეციალურათ მომზადებული მასწავლებლები და იგინი არიან ჩინებულად გამართულნი ყოველის მხრით, მაგრამ ნაყოფი კი ძალიან მცირე და ფუქსავატი გამოაქვთ.

მაშ რა კეთილს უნდა მოველოდეთ ჩვენი უბრალო შკოლებიდგანა, რომმლთაც არც სპეციალისტები ეყოლებათ ხელმძღვანელებათ და პატრონებათ, მოწყობილება და ნივთიერებით სახსარნი აკლდებათ და ამასთან სამი წლით იქნება მათი კურსი განსაზღვრული?!

მართალია, ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების შკოლების წარმატებას საშინლათ უშლის ის გარემოება, რომ ახირებულად ჯიუტობის გამო სამშობლო ენას სრულიად არ ასწავლიან მათში და არც შკოლის სწავლის გადასაცემ სახსრათა ხმარობენ; მაგრამ ჩვენი შკოლები მაინც უკეთესს ნაყოფს მხოლოთ მაშინ გამოიღებენ, როცა, სამშობლო ენის სუფევის გარდა, მათ ექნებათ ხანგრძლივი კურსი, არა ნაკლებ ოთხი წლისა.

უფ. დირექტორმა პიროვნად მოინდომა სამი სამი წლის კურსი და სასწორს უკუღმა დააძლევინა უსათუოთ რუსეთის შკოლების წაბაძვითა.

რუსეთში დიახ სამი წლის კურსი გახლავთ დაწესებული სასოფლო შკოლებისთვის, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ ამ შკოლებს მეტათ საცოდავი ნაყოფი მოაქვთ, ასე, რომ დიდიხანია ხმამაღალი დრტვინვა ისმის მათზედ საზოგადოების მხრივა, და მეორე ისა, რომ რუსეთში ბავშვები თავისი ენის გარდა არა ენას არა სწავლობენ; ჩვენში კი მოწაფეთ უნდა ღვარონ ოფლი სახელმწიფო, რუსული ენის სწავლაშიაც, რითაც თითქმის ერთი-ორად მძიმდება ტვირთი სწავლისა.

Ცხადია, რომ თუ რუსეთის შკოლების ნაყოფი არის საცოდავი სამი წლის კურსის წყალობით, ჩვენში უეჭველად მივიღებთ ორჯელ უფრო კიდევ საცოდავსა, ანუ უსაცოდავეს ნაყოფსა და განა ეს არ იქნება წყალში გადაყრა იმ ოფლით ნაამაგევი ფულისა, რომლითაც გლეხებმა უნდა გამართონ და აწარმოონ შკოლები?!

Ყველაზედ გასაოცარი ის არის, რომ სამი წლის კურსს ამწესებენ და პროგრამმას კი ვეებერთელას, უშველებელს ადგენენ. Ელემენტარული არითმეტიკით და სალმთო ისტორიით როდი ჯერდებიან. ჩვენი პედაგოგების ჰაზრით, სამ წელიწადს ბავშვებმა უნდა შეითვისონ მრავალი საგნის ნაწყვეტები: ისტორიისა, გეოგრაფიისა, ბუნებითი საგნებისა, სასოფლო მმართველობის კანონები და კიდევ სხვა რამეები. Ერთი სიტყვით ჩვენ განმანათლებლებს სურთ აქლემი გააძვრინონ ნემსის კურწში, რვა-ცხრა წლის ბაღანები ენციკლობედისტებათ გახადონ.

Ისე არაფერი უთხელებს ბავშს ტვინსა, უსუსტებს გონებასა და უუძლურებს ჰაზროვნებასა, როგორც საგნების კენწეროების ტოტინი და მეტადრე მრავალი საგნებისა. ნეკერაობა სამართლიანად ითვლება გონების გამაფუქსავატებელ და დამამხობელ მიზეზათა როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის. და ჩვენი პედაგოგები კი ამ ნეკერაობას აუცილებელ სენათა ხდიან სახალხო შკოლებისათვის!

Ბლეხები თავის შვილებს სამ წელი-

*) მასწავლებელთა კრებამ ჯერ, მართალია, სამი წელიწადი დანიშნა შკოლებში სწავლის ვადათ; მაგრამ მერე შესცვალეს და ოთხი წელიწადი დანიშნეს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც ვტოვებთ ამ წერილში სამი წლის კურსის წინაღმდეგ მოყვანილს საინტერესო მოსაზრებებს ავტორისას.

წადზედ მეტს არ დააყენებენ შკოლაშიო, იმართლებენ თავსა წვერნი კრებისანი. დააყენებენ ოთხსაცა და ხუთსაცა, თუ დაანახვეთ, რომ მათი შვილები შკოლის წყალობით წარმატებაში შედიან როგორც გონებითა ისე ზნეობითა. და თუ აშკარად შენიშნავენ, რომ სამი წლის ნეკერაობით რეტიან ინდოურებს ემგზავსებიან, სამ წელიწადს კი არა, სამ დღესაც არ მოაცდენენ.

ოთხი წელიწადი რომ დავდეთ, ყველა შკოლა ოთხ-განყოფილებიანი შეიქნება და მასწავლებლებს ძალიან გაუძნელდებათ ხეირიანათ სწავლის წაყვანაო. ეს, მართლა, ნამდვილი დაბრკოლება არის, მაგრამ მას უებარი წამალიც აქვს: ბავშვების მიღება შკოლებში უნდა იქნეს არა ყოველ წლიე, არამედ ორ წელიწადში ერთხელ. ეს წესი უწინ ბევრს ქვეყნებში ყოფილა და ეხლაც არის და არსად ბოროტი შედეგი არ მოუტანია თანა. ლონისძიება ესე მითია ძალიან სასარგებლო, რომ მოუმზადებელ მასწავლებლების ყოლაც კი არ უშლის კურსის გაგრძელებასა და მაგივრად სამი განყოფილებისა, რომელთა ერთს დროს ვარჯიშობა მასწავლებელთ გაუჭირდებათ, შკოლაში ჩნდება მარტო ორი განყოფილება; ამითი საქმე მასწავლებელს უადვილდება, შკოლის ჩარხი უფრო ჩქარა ტრიალებს და მოწაფეთა წარმატება უფრო მტკიცე კვალს ადგება.

აგრეთვე უკულმართათ და მოუაზრებლად მიდის საგნების პროგრამების შედგენა. აეიღოთ, მაგალითად, საღმრთო ისტორიის პროგრამმა. სჯამ ამ საქმის შესახებ ცხადათ აღმოაჩინა, რომ თითქმის არავის არ ესმის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ძველი აღთქმის მოთხრობათ აქვთ ბავშვების აღზდაში.

ზნეობითი პრინციპებით ძველი აღთქმა, რასაკვირველია, დაბლა სდგას ახალს აღთქმაზედა; მაგრამ სამაგიეროთ იგი წარმოგვიდგენს ეროველსა ეპოპეიას მთელი ხალხისასა, რელიგიურ-სამოქალაქო დრამმასა, სადაც მოქმედობს მთელი ხალხი, სადაც წმინდა სიყვარული ღვთისა და ერისა შეკავშირებულია მჭიდროდ და სადაც ყველა ნაბიჯის წადგმაზედ მოქმედობს კერძო პირების თავდადებულობა ღვთისა და ერის სადიდებლად. ამასთან ამ ეპოპეიას აქვს იმისთანა მარტივი, პატრიარხალური ხასიათი და ისეთ მიმზიდველ ფორმაში არის განხორციელებული, ჩამოსხმიული, რომ საგანგებოთაც ვერ მოიგონებს კაცი ასე სრულიად საყმაწვილო ამბებსა. ვის არ ახსოვს თავის ბავშობის დროიდგან, თუ რა ღრმა ჩაბეჭდილებას ახდენდნენ და როგორ ხვდებოდნენ გულსა მოთხრობანი, მაგალითად, იოსებისა და მოსესი, რომელთა ცხოვრებაში რელიგიური, ხალხური და პიროვანი საინტერესანი ისე კაშკაშობენ, როგორც მოწმენდილ ცაზედ ვარსკვლავნი.

აღმზრდელობითი მნიშვნელობა ძველი აღთქმის მოთხრობებისა გაწათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია აღიარებულია. თუ როგორ სარგებლობენ ამ ძველი აღთქმის ამბებით ბავშვის გულში უანგარეობის, ღვთისა და ერის მოყვარეობის ჩასანერგათ—ცხადათ დაინახავს მკითხველი შემდეგის პაწაწია ნაწყვეტიდგან, რომელიც ჩვენ მოგვეყავს ერთი უცხო ენის გამოცემიდგანა:

„ბედნიერ მდგომარეობაში ჩავარდა ყმაწვილი მოსე ფარაონის სასახლეში. რასაც კი გული ინატრიდა, იმის ხელქვეეთ იყო, რადგანაც ყველას ისე ჰყავდა მიმჩნეული, როგორც ნამდვილი შვილი მეფისა. ამისთანა მდგომარეობაში სხვა უმისო მიეცემოდა განცხრომის ცხოვრებასა, შეიქნებოდა გულ-გრილი და ზურგს შეაქცევდა თავის ღმერთსა, თავის სარწმუნოებასა და თავის ხალხსა.

„მაგრამ მოსე სრულიად ასე არ მოიქცა. იმას დედის-ძუძუსთანვე ჰქონდა ჩანერგილი გულში მხურვალე სიყვარული თავისი ღმერთისა და ერისა. მათი დიდება იყო უმთავრესი, პირველი საგანი ყმაწვილი მოსეს ფიქრისა.

„ამასთან მან კარგათ იცოდა, რომ უ-წავლელი კაცი ვერ შეიძლებს ვერც ღვთის დიდებასა და ვერც თავის ხალხის რგებასა და სამსახურსა. ამიტომ მოსე ძალიან ბეჯითი იყო სწავლაში. რაც კი მაშინდელმა ეგვიპტელებმა იცოდნენ, ყველაფერი მშვენივრად შეისწავლა და მტკიცედ შეითვისა. იგი საფუძვლიანად, გულმოდგინედ ემზადებოდა თავისი მომავალი მოქმედებისათვის“.

ჩვენ ძალიან გვაკვირვებს ის შემთხვევა, რომ ამ გვარს ჰაზრებს ქადაგებს ივანე როსტომაშვილი, რომელიც ჩვენში აქამდის ითვლებოდა სასოფლო შკოლების პირველ მასწავლებლად. რა დაემართა? ძებამ ხომ არ აწყინა? და თუ არასფერს არ უწყენია, მაშ რათ ესარჩლება ყოველ-გვარ წინადადებასა, რომელიც შეუძლებლათა ხდის სწორე და მტკიცე გზაზედ დაყენებას ჩვენი სასოფლო შკოლისასა!... სამი წლის კურსის ადვოკატთაც იგი გამოსულა. იცის, რა მოსდევს სამი წლის კურსსა და რისათვისა სურთ ზოგიერთა ვაჭბატონებს ასეთი მოკლე ხანი სწავლისა? იმისათვის, რომ ყოველად შეუძლებელი გახადონ საგნების სწავლა შკოლებში, მათი კურსი უკანასკნელ მინიმუშამდის მიიყვანონ, საქმე მხოლოდ ქართულ-რუსული წერა-კითხვით გაათიონ და ხალხის ვანათლება უშინაარსო სიტყვად გადააქციონ. ნუ თუ ეს ძნელი მისახვედრია? სამი წლის კურსს ორში ერთი მოსდევს: ან რუსული ენის სწავლა უნდა მოისპოს, ან საგნებისა. რადგანაც პირველის გაუქმებას არავინ არ დასთანხმდება, სიგნები გახდებიან მსხვერპლათა და მაშინ ის ერთათ-ერთი წათელი წერტილიც, რომელიც ამ შენიშნვის თავში მოვიხსენეთ, გაქრება სრულიად; რადგანაც საგნების სწავლა არ იქნება ჩვენ შკოლებში, მათ გადასაცემათ არც ქართული ენა დასჭირდებათ და ხელში შეგვრჩება შესწავლა უბრალო — წერა-კითხვისა, რომელიც ჭკუის გაუხსნელად ჩვენ ყმაწვილებს ენების მეტს არას მოუტანს: მათი გაუღვიძებელი და სწორე გზაზედ დაუყენებელი გონება თავის საზრდოს მოსძებნის „ყარამანიანის“, „ბიბილოს“, „ეროვნულ-ბიბლიოთეკის“, ეასუმოვის, ბივიშვილის „ლექსიკონის“ და სხვა ჰაზრის-გამრყვნელი წიგნების კითხვაში, და ამ სახით ხალხის განათლება გვექცევა ხალხის დაბნელებათა. ამ შედეგისათვის ცდილობს ჩვენი პედაგოგების პირველი კრება?

ი. ბ.

მასწავლებელთა სხდომების დასასრული

თფილისი, 28 სექტემბერს.

ბუშინ გათავდა მასწავლებელთა სხდომები პარაკლისის გადახდით, რომელზედაც დაესწრნენ გარდა უფ. ხელმძღვანელისა, უფ. ოკრუჟნის ინსპექტორი მაძალეესკი და თ. დ. ჯორჯაძე.

სანამ პარაკლისს გადაეიხდიდით, უფ. მაძალეესკიმ მოგვმართა მოკლე სიტყვით, რომელშიაც დაგვიხატა ჩვენი მოვალეობა; გვითხრა—თუ როგორ და რა გზით შეიძლება ჩვენი მატერიალური მხრის გაუმჯობესობა და სხვა ამ გვარები. პარაკლისის გარდახდის შემდეგ ორიოდე ტკბილი სიტყვა გვითხრა თ. დ. ჯორჯაძემ; მომყავს ზოგიერთი ალაგი ამ სიტყვიდამ:

„დღეს დასრულდა, ყმაწვილებო, თქვენი სხდომები და თქვენ გაემგზავრებით ყველანი თავ-თავიანთ ადგილს, სადაც მიიტანთ ახალს ცოდნას, რომელიც მოგვენიჭათ თქვენ ამ ცოტას ხნის კრებამ.

„ღმერთმან ინებოს, ყმაწვილებო, რომ თქვენმა ერთის თვის შრომამ ტყვილ-უბრალოთ არ ჩაიაროს და ახალის ენერგიით და ბეჯითად მოგეკიდოთ ხელი თქვენი წმინდა მოვალეობისათვისა.

„დარწმუნებული ვარ, თქვენ რიგიანად აღასრულებთ იმ იმედს, რომელიც ჩვენა გვაქვს თქვენზე. მშვიდობით, ყმაწვილებო!“

შემდეგ ამისა წარმოდგა თვით უფ. ჩვენი ხელმძღვანელი სტრელეცკი და შემდეგის სიტყვებით მოგვმართა:

„მოაწია, უფალნო, იმ ჩემდა სამწუხარო დრომ, როდესაც უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენ ერთმანერთს. მე დიდის სიამოვნებით გავაგრძელებდი თქვენთან ამ საქმეებს კიდევ; მაგრამ დრო არ გვაძლევს ნებას.“

უფ. სტრელეცკიმ აგვიხსნა—თუ რა მიზანი ჰქონდა ჩვენს სხდომებს, რა უნდა გაგვეკეთებინა და რის გაკეთება მოვასწარით.

„ველამ ვიცითო, სთქვა უფ. სტრელეცკიმ, რომ ეს საქმე ახალი არის როგორც თქვენთვის ისე ჩემთვისაც და ამის გამო ყოველ შემთხვევაში გვეპატიება—თუ კი რამ შეცდომები მოგვიდოო...“ „ღმერთმან ინებოსო, დაბოლოვა უფ. სტრელეცკიმ თავისი სიტყვები, რომ ამ ცოტას ხნის შრომამ ტყვილ უბრალოდ არ ჩაგვიაროსო და შემდეგ სხდომებისათვის უმფრო გავარჯიშებუ-

ლი და მცოდნენი შევიკრიბნეთო.“

დიახ, როგორც თვითონ უ. სტრელეცკიმ სთქვა, ეს საქმე ჩვენთვის სრულებით ახალი იყო, არც არავინ ჩვენგანი არ იყო ამ საქმისათვის მომზადებული. მაგრამ ამ დროებით ყრილობამ ნამდვილად გვაჩვენა ჩვენ, თუ როგორ უნდა წავიყვანოთ ის კეთილი და მძიმე საქმე, რომელიც ჩვენა გვაქვს მონდობილი; ამავე მოკლე დროში გავიცანით ჩვენ (თუმცა, რასაკვირველია, ძალიან შემოკლებით) თითქმის ყველა ის საგნები, რომელთაც ცოდნა ჩვენთვის, როგორც სასოფლო მასწავლებლებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ვიყავით მეტეოროლოგიურ ობსერვატორიაში, სადაც შევიტყეთ თუ როგორ უნდა სხვა-და-სხვა ბუნებით მოვლინებათ დაკვირვება; ვიყავით აკლიმატიზაციის ბაღში, სადაც ვნახეთ თუ როგორ უნდა რამე ხილის დამყნობა, ერთი ადგილიდამ მეორე ადგილზე გადატანა, მებაღობა და სხვ.

ერთის სიტყვით, ყველაფერი ის, რაც კი ოჯახობისათვის საჭირო არის, ყველაფერი ვნახეთ, მაგრამ რა თქმა უნდა რომ ყველაფერი რიგიანათ ვერ დავისწავლეთ.

მერმისთვის გადავწყვიტეთ ჩამოსვლა და მრთელი ორი კვირა უნდა შევსწიროთ ამ თითქმის ყველასათვის საჭირო საქმეს—მეურნეობას. არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ პრაქტიკულ ცხოვრებისათვის და შკოლის საქმისათვისაც, ამ მოკლე ჩვენს ყრილობას თავის შესაფერი სარგებლობა არ მოიტანოს; ეხლა მხოლოდ ის-ღა დაგვრჩენია ვინატროთ, რომ ამისთანავე ყრილობაები ყოველ წლივ გაიმართოს ხოლმე.

ჩვენ გათავებული გვეგონა ჩვენი საქმეები; ზოგიერთი ჩვენგანი კიდეც შეუდგნენ გამგზავრებას თავ-თავიანთ ადგილას. მაგრამ გუშინ კიდევ შეგვყარა უფ. სტრელეცკიმ და გამოგვიცხადა, რომ უფ. მთავარ სამმართველოს უმფროსმა ბრძანდომა თქვენი ნახვაო. ჩვენ მივედით თერთმეტ საათზე დილით მთავარ სამმართველოს კანცელიარიაში. ცოტას ხნის შემდეგ გამოვიდა უფ. სტაროსელსკი და ორიოდე სიტყვების შემდეგ რომ მე ძალიან ვწუხვარო, რომ ავათმყოფობამ არ მომცა ნება რავდენჯერმე მაინც დავსწრებოდი თქვენს სხდომებსაო, მაგრამ მაინც დიდის სიამოვნებსთ ვკითხულობდი გაზეთებში თქვენის სხდომების ანგარიშებსაო, თვითეულს ჩვენგანს დაწვრილებით გამოვკითხა ვინაობა და სად, რომელს სოფლებში ვასწავლით რა ჯამაგირები გვაქვს, როგორ უყურებს ხალხი ამ საქმეს ან ადგილობრივი მმართებლობა. ჩვენ რასაკვირველია რაც ვიცოდით ყველაფერი მოვახსენეთ.

შემდეგ უფ. სტაროსელსკიმ გვითხრა, რომ ამ უკანასკნელს დროს მთავრობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ხალხის განათლებასაო და მაშასადამე თქვენგან, როგორც სახალხო მასწავლებლებისაგან, მმართებლობა ამ შემთხვევაში დიდ შემწეობას მოელისო. კარგათ იცოდეთო, რომ მართებლობა ეცდება ყოველთვის თქვენის მდგომარეობის გაუმჯობესობასაო.

შემდეგ დარიგებისა—თუ როგორ უნდა გვეჭიროს ჩვენ თავი, რომ ჩვენს მოვალეობას უმფრო კარგათ მივაღწიოთ, უფ. სტაროსელსკიმ გვითხრა რომ მე რაც შეიძლება ვეცდებიო, რომ რამოდენიმე წლის სამსახურის შემდეგ ცოტაოდენი მაინც არის პენსია დაგენიშნოსთო.

ამ ნაირად თითქმის მთელი ორი საათი გველაპარაკა ჩვენ უფ. სტაროსელსკი. ბოლოს გვითხრა: მე კარგათ ვიცი, რომ ამისთანა სიძვირის დროს თქვენ აქ ცხოვრება იაფათ არ დაგიჯდებოდათ და ამისთვის მისმა იმპერატორებით უმაღლესობამ კავკასიის მთავარ-მმართებლობამ ინება თქვენთვის ხუთ-ხუთი თუმნის ბოძება გზის ხარჯათაო.

ერთი მასწავლებელთაგანი.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ერთს ბერძნულ გაზეთში იწირებიან, იმედიაო, რომ ოსმალეთი და საბერძნეთი ინგლისის საშუალობით მორიგდებიან ერთმანეთშიო. ამბობენ, რომ მითხად-ფაშას მოულაპარაკნია, ლონდონში ყოფნის დროს, ინგლისის მთავრობასთან, რომ შეიძლებაო, ოსმალეთმა კანდიის კუნძული და ერთი ნაწილი თესსალიისა დაუთმოს საბერძნეთს და ამით თანხმობა ჩამოვარდეს ამ ორ სახელმწიფოს შუაო.

—სტამბოლის გაზეთები კი, ამ საგნის შესახებ, სხვა ჰაზრისანი არიან; ისინი ამბობენ, რომ საბერძნეთი ერთობ ბევრს თხოულობსო და ძნელად თუ ჩვენსა და იმას შუა საქმე უომრათ გათავდესო.

—„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან არზრუმიდან:

„რუსების წასვლის შემდეგ ქურთებმა ისევ წამოჰყვეს თავი და ზოგიერთი უწესოება ჩაიდინეს. ამის გამო ოსმალეთმა გაგზავნა მცირე აზიისაკენ ალი-შეფიკ-ბეი ამ ხალხის დასასჯელად. ახლა არზრუმში დანიშნულია ცალკე სასამართლო, რომელმანც ყველა ამგვარი საქმეები უნდა განიხილოს და რომლის თავს-მჯდომარეთაც დანიშნულია ხსენებული ალი-შეფიყ-ბეი.“

ინგლისი

„კელნის გაზეთში“ დაბეჭდილია ვრცელი კორრესპონდენცია პეტერბურღიდამ მიღებული, რომლის ავტორი ამტკიცებს, რომ ინგლისსა და ავგანისტანს შუა ჩამოვარდნილს განხეთქილებაში რუსეთს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიაო, რუსეთი სრულიად არ ცდილობდაო, რომ ავგანისტანის ემირს ინგლისის ელჩები არ მიეღოვო და სხვ.

ამ კორრესპონდენციას ავტორი შემდეგი სიტყვებით ათავებს:

„რაც უნდა მოხდეს, რუსეთი არ მიიღებს მონაწილეობას ავგანისტანსა და ინგლისს შუა ბრძოლაში. მაგრამ, უეჭველია, რომ რუსეთი იმგვარადვე მოეხმარება ავგანისტანს, როგორც ამ უკანასკნელს ომში ინგლისი ოსმალეთს ეხმარებოდა, ე. ი. მისცემს იმას თოფ-იარაღს, ფულით შეეწევა და სხვ. ამგვარებით მოუწყობს ხელს.“

ბოლგარია

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ადრიანოპოლიდამ მიღებული:

„ბოლგარიელები აშკარად აცხადებენ, რომ ისინი არ გაუშვებენ, რომ ბალკანის მთებში ოსმალეთმა დააყენოს თავის გარნიზონები; ამ მთების გზებს ჩვენ დავიჭერთ ჩვენის ჯარითაო.

„საზოგადოთ ორივე“ ბოლგარიას, ჩრდილოეთს და სომხეთს (ანუ აღმოსავლეთ რუმელიას, რომელიც ოსმალეთს დარჩა) დიდი მიდრეკილება აქვთ ერთმანეთთან და—ესენი ამბობენ, რომ რუსების ჯარის წასვლამდინ ჩვენ უეჭველად უნდა შეუერთდეთ ერთმანეთსაო.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი 27 სექტემბერს. გაზეთ „სტანდარს“ დეპეშა მოუვიდა ალლახაბადიდამ, რომ, რადგან ჯუმრუდის მახლობლად დიდძალი ჯარი მიადგა ავგანისტანისა, ამის გამო აქ დაყენებულ ინგლისის გარნიზონს მიაშველეს შვიდი ქვეითთა პოლკი სამი ბატარეით. ინგლისის ჯარების უფროსს ღენერალ როსს განზრახვა ჰქონდა, რომ ალიმუსვიდს დასცემოდა; მაგრამ ამ დროს ბრძანება მოუვიდა, რომ ახალ ჯარების მოსვლამდინ მოიცადოს.

სიმლა, 27 სექტემბერს. ჯერ-ჯერობით ავგანისტანელებისა და ინგლისის ჯარის შუა არსად არ ყოფილა შეტაკება; ორივე მხარე ჯერ მხოლოთ მზადებაში არიან.

ვენა, 27 სექტემბერს. ოსმალეთის მთავრობამ უკმაყოფილება გამოაცხადა იმაზედ, რომ ავსტრიელები ერთობ სასტიკად და შეუბრალებელად ექცევიან ახლად-დაპყრობილ ხალხებსაო. ანდრასჩის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ეს ოსმალეთის უკმაყოფილება რუსეთის გავლენისაგან წარმოსდგაო; რუსეთი იმ განზრახვით აცხადებს ავსტრიის ჯარების ვითომ-ბარბაროსობას, რომ თავის ბარბაროსული საქმეები, რომელიც გასულ ომის დროს ჩაიდინა, დაავიწყებინოს ქვეყანასაო. ავსტრიასა და ოსმალეთს შუა უკმაყოფილება ჰსუფევს.

ცეტინიე, 27 სექტემბერს. ოსმალოს ნიზამი აჯანყდა და ბევრი სალდათები ალბანიელებისაკენ გადავიდნენ. ერთგულ სალდათებსა და აჯანყებულებს შუა გაცხარებული შეტაკება იყო.

ლონდონი, 27 სექტემბერს. ამერიკის ირლანდიელებს განზრახვა აქვთ, რომ დაეხმარონ ავეანისტანის ემირს) ჯარი გაუგზავნონ და ამ ნაირად ისიც გაანთავისუფლონ და თეითონაც განთავისუფლდნენ საზოგადო მტრისაგან. ირლანდიის გაზეთები უშვერის სიტყვებით იხსენიებენ ახლანდელ ლორდ ბიკონსფილდის სამინისტროს. საზოგადოებათა პალატის ირლანდიელი დეპუტატები აპირობენ სხვა-და-სხვა ქალაქების დავლას და მიტინგების გამართვას იმ განზრახვით, რომ ირლანდიის განთავისუფლების მომხრეები შეაკავშირონ და ყველამ ერთნაირათ იმოქმედონ.

ბერლინი, 28 სექტემბერს. პარლამენტმა მიიღო პირველი მუხლი სოციალისტების შესახებ კანონისა; ამ კანონის წინააღმდეგი ხმა მისცეს პროგრესისტებმა, ცენტრის წევრებმა და სოციალისტებმა.

ოდესსა, 29 სექტემბერს. ოდესსის კომმერციულ ბანკში დაიკარგა ფულები, ნაღდი ფული 66 ათასი მანეთი და 90 მანეთის ბანკის ბილეთები. ამ ფულის დაკარგვას აბრალებენ ბანკის მთავარ კასირს ედუარდ შენსს. საზოგადოება მიცვივდა ბანკში და თავიანთ შეტანილი ფულების წაღებას ცდილობდნენ; 3 საათამდინ ორ მილიონამდინ გაიტანეს.

ლონდონი, 28 სექტემბერს. გაზეთი „დაილი ტელეგრაფი“ ამბობს: საფიქრებელია, რომ ოსმალეთის მმართველობის ნოტა დაარღვევს იმ კეთილ-განწყობილებას, რომელიც ავსტრიასა და ოსმალეთს შუა ჰსუფევდა. მარკიზ სალიზბერიმ გამოუცხადა ოსმალეთს რომ, ინგლისს არ მოსწონს ეს ნოტა. ბერმანიამ, თავის მხრით შეატყობინა ოსმალეთს, რომ ამგვარი ნოტა ყველა სახელმწიფოების შეურაცხყოფად უნდა ჩაითვალოსო.

პეტერბურღის ბირჟა, 29 სექტემბერ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	96	86
მეორესი — — — —	95	62
მესამესი — — — —	95	62
მეოთხესი — — — —	95	62
აღმოსავლეთის — —	92	86
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	25
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — „— „		

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	235	—
მეორე სესხის — — —	229	75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი— —	23	95	პენსი
ამსტერდამი— —	123	24	ცენტი
ბერლინი— — —	205	50	ჰფენიგი
პარიჟი — — —	251	—	სანტიმი

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

საჭიროა სახლი უმფროსი პოლიციმეისტრის სადგომად, იმის კანცელარიისა და არხივისათვის **და აგრეთვე პაჭარის კამანდისათვის.**

ეს სახლი უნდა იყოს სადმე შუაგულ ქალაქში; იმას უნდა ჰქონდეს საჯინიბო (კანიუშნა) 36 ცხენის დასაყენებელად, დიდი ეზო და მოთავსებული დიდი ალაყაფის კარები.

თფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს იმ სახლის-პატრონთ, რომელთაც ჰსურთ ამ საჭიროებისათვის სახლის გაქირავება, მოვიდნენ გამგეობაში (უპრავაში) მომავალ **ოქტომბრის თვის 5 რიცხვამდინ** და ამასთანავე წარმოადგინონ თავიანთი დაწერილებითი პირობები.

(3—1)

ბიბლ. ჩარქვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

„ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.

ფასი 15 კაპეიკი.

იქავ ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

ფასი ორი შაური.

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, თფილისში, ბალავინის პროსპექტზე, ისყიდება რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი **„ბატონ-ყმობის უფლება საქართველოში“** („Крѣпостное Право въ Грузіи“). **თითო წიგნის ფასი თხუთმეტი შაურია,** გაგზავნით ოთხი აბაზი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მან	კაპ.
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, ფუშეთს, სილნალს . .	—	50
როსტოვს, ოდესს, მოსკოვს	2	—
პეტერბურს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და სამზღვარ გარეთ:	
ერთ წიგნი	4
ერ ბეჭედს (ხმი მისხალი) .	8

მაზანდა

თფილისი, 29 სექტემბ.	მან	კაპ
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	80
ფქვილი წითელი . . .	1	55
ქერი ფუთი	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	50
—თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	6	20
ქონის სანთელი ფუთი .	8	—
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბოლ. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	6	—
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ბეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	—
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	15

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარალეევიჩი—შინაგ. ავად., ქიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანეცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 29 Сентября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი